ქართული ენის ტესტი

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი და პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!
ტესტის ბუკლეტი შეგიძლიათ გამოიყენოთ მხოლოდ შავი სამუშაოსათვის!
ტესტის მაქსიმალური ქულაა 50.

ოთხი სავარაუდო პასუხიდან უნდა აირჩიოთ მხოლოდ ერთი. სწორი პასუხები უნდა გადაიტანოთ პასუხების ფურცელში ამგვარად: პასუხის შესაბამის უჯრედში გააკეთოთ აღნიშვნა – **X**. თუ პასუხის გადატანისას შეცდომა დაუშვით და უჯრედი არასწორად მონიშნეთ, მაშინ მთლიანად გააშავეთ იგი და მონიშნეთ სხვა უჯრედი.

გახსოვდეთ: აუცილებელია ყველა პასუხის გადატანა პასუხების ფურცელში!

ტესტის შესასრულებლად გეძლევათ 2 საათი.
გისურვებთ წარმატებას!

1. რომელია სწორი?
ა) მე-XIX საუკუნე.
ბ) მე-XIX-ე საუკუნე.
გ) XIX-ე საუკუნე.
დ) XIX საუკუნე.

2. რომელია სწორი?
ა) ასორმოცდაათი.
ბ) ას ორმოცდა ათი.
გ) ას ორმოცდაათი.
დ) ას-ორმოცდაათი.

3. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) იგი ჟურნალ „ცისკრის“ რედაქტორი იყო.
ბ) იგი ჟურნალ „ცისკრ“-ის რედაქტორი იყო.
გ) იგი ჟურნალ „ცისკრ-ის“ რედაქტორი იყო.
დ) იგი ჟურნალ „ცისკრი“-ს რედაქტორი იყო.

4. რომელია სწორი?
ა) რეაკტიული.
ბ) რედაკტირებული.
გ) რეკვიზიტი.
დ) რეკტორი.

5. რომელია სწორი?
ა) ბატარეია.
ბ) ეხო.
გ) ვალიუტა.
დ) მასშტაბი.

6. რომელია არასწორი?
ა) ა. შანიძე.
ბ) დ. აღმაშენებელი.
გ) ი. ჭავჭავაძე.
დ) ს. დოდაშვილი.

7. რომელია სწორი?
ა) დედაშვილი.
ბ) თვალწარმტაცი.
გ) ფეხ-ქვეშ.
დ) ცხვირ-მოუხოცავი.

8. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) ჩიტები სხვადასხვა ხმაზე გალობდნენ.
ბ) ჩიტები სხვა და სხვა ხმაზე გალობდნენ.
გ) ჩიტები სხვა-და-სხვა ხმაზე გალობდნენ.
დ) ჩიტები სხვადა სხვა ხმაზე გალობდნენ.

9. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) ახალგაზრდები წყვილწყვილად მოდიოდნენ.
ბ) ბავშვებს ჭრელჭრელი ფერები მოსწონთ.

გ) ბიჭი ბუჩქებიდან თვალ-თვალს განაგრძობდა.
დ) ეს არხი ნაირ-ნაირ რეკლამას გვთავაზობს.

10. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) ბრძოლის წინ ერეკლე II-ემ სიტყვით მიმართა ჯარს.
ბ) ბრძოლის წინ ერეკლე მე-II სიტყვით მიმართა ჯარს.
გ) ბრძოლის წინ ერეკლე II-მ სიტყვით მიმართა ჯარს.
დ) ბრძოლის წინ ერეკლე მე-II-მ სიტყვით მიმართა ჯარს.

11. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ნოდარ, რამდენი წლისა ხარ?
ბ) ნოდარის მეზობელი გულის ექიმია.
გ) ნოდარიმ სკოლა წელს დაამთავრა.
დ) ნოდარს გუშინ მეგობრები ესტუმრნენ.

12. რომელია არასწორი?
ა) ზემოთ.
ბ) უდროოთ.
გ) ჩუმად.
დ) ხშირად.

13. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ამ ჭიშკრით დიდ ეზოში შედიოდი.
ბ) მოხარშული კურდღლის ხორცი მიირთვა.
გ) სატევრის ხმარება საუცხოოდ იცოდა.
დ) ღია ფანჯარიდან ტელევიზორის ხმა ისმოდა.

14. რომელი გეოგრაფიული სახელი არის უკუმშველი?
ა) აბასთუმანი.
ბ) კლდეკარი.
გ) ნატახტარი.
დ) ყვარელი.

15. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ქარხანა მალე ამუშავდება.
ბ) ქარხანის ტერიტორია დაასუფთავეს.
გ) ქარხნებს ფასადი შეუცვალეს.
დ) ქარხანას მოსწავლეები ესტუმრნენ.

16. რომელია არასწორი?
ა) მინდვრის.
ბ) ნივრის.
გ) ღრუბელის.
დ) ჩანჩქერის.

17. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ამ ჯგუფთან უკვე 5 წელია ვთანამშრომლობ.
ბ) ამ ფაქტს ვერც დავადასტურებ და ვერც უარვყოფ.
გ) გარემოს როლს ბავშვის აღზრდაში ვერ უგულებელვყოფთ.
დ) ფილმების მეშვეობით ვსრულყოფ ინგლისური ენის ცოდნას.

18. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ანამ სცენის იატაკი საგულდაგულოდ მოწმინდა.
ბ) გიორგიმ მთელი ცხოვრება საკუთარ კლუბს შესწირა.
გ) ჟურნალისტმა ქალს ყველაფერი დაწვრილებით გამოჰკითხა.
დ) ფირმის ადმინისტრაციამ მას თანამშრომლობა შეთავაზა.

19. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) ბერძნები აიეტს ძლევამოსილ მეფეს უწოდებდენ.
ბ) კოლხები ბალახებისაგან საოცარ წამლებს ამზადებდენ.
გ) ლუდის დასამზადებლად ჯერ ქერის ალაოს წმენდენ.
დ) ჩვენი წინაპრები ლითონს ოსტატურად ამუშავებდენ.

20. რომელია სწორი?
ა) ანვითარებს.
ბ) ანთებს.
გ) ანსახიერებს.
დ) ანხორციელებს.

21. რომელია არასწორი?
ა) მიჰქონდა.
ბ) მიჰქროდა.
გ) მიჰყავდა.
დ) მიჰყვებოდა.

22. რომელია არასწორი?
ა) ზრუნვა.
ბ) ჩხრეკვა.
გ) ძერწვა.
დ) ხატვა.

23. რომელია სწორი?
ა) ერთმა და იგივე კაცმა.
ბ) ერთმა და იმავე კაცმა.
გ) ერთი და იგივე კაცმა.
დ) ერთი და იმავე კაცმა.

24. რომელია არასწორი?
ა) უწერია.
ბ) აწერინა.
გ) დააწერია.
დ) დააწერინა.

25. რომელია სწორი?
ა) დაგრეხვა.
ბ) დანახვა.
გ) დაფლეთვა.
დ) მოტეხვა.

26. რომელია სწორი?
ა) გაუბავს.
ბ) გაუბამს.

გ) გაუბია.
დ) გაუბიათ.

27. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) თანამემამულეებთან შეხვედრამ ძალიან აგვაღელვა.
ბ) კვლევის შედეგები დაწვრილებით ავღნუსხეთ.
გ) მესხეთის ისტორიული ძეგლები ფირზე ავღბეჭდეთ.
დ) მუზეუმში გამოფენილმა ექსპონატებმა აგვაღფრთოვანა.

28. რომელია სწორი?
ა) გადაუწყვიტავს.
ბ) გადაუფხიკავს.
გ) გამოუძერწავს.
დ) გაუხლიჩავს.

29. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) მღებავს კედლები უკვე შეეთეთრებინა.
ბ) ნათიას წიგნები ლამაზად დაულაგებია.
გ) ნანას არ უნდოდა ვინმე შეეწუხებია.
დ) ნინომ მეგობარს მისამართი ჩააწერინა.

30. რომელია არასწორი?
ა) დაგლეჯს.
ბ) დაზელავს.
გ) დამალავს.
დ) დასრესს.

31. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) დედა-შვილი კონცერტიდან შინ გვიან დაბრუნდნენ.
ბ) დედა და შვილი კონცერტიდან შინ გვიან დაბრუნდნენ.
გ) დედა-შვილი კონცერტიდან შინ გვიან დაბრუნდა.
დ) დედა შვილთან ერთად კონცერტიდან შინ გვიან დაბრუნდა.

32. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) დისკუსიაში ახალი თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ.
ბ) კაქტუსს უძველესი დროიდან სამკურნალოდ იყენებენ.
გ) მწერალმა აღწერა იმერელი აზნაურების ყოფა.
დ) ხელნაწერი გამოირჩევა კალიგრაფიულ სილამაზით.

33. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) იმათ გუშინ საღამოს შეხვდა.
ბ) იმათ კონკურსში გაიმარჯვეს.
გ) იმათმა ახალი მანქანა შეიძინეს.
დ) იმათმა წარმატებამ ყველა გაახარა.

34. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) აბრეშუმი შორეული ქვეყნებიდან შემოჰქონდათ.
ბ) დამარცხებული მეფე სამშობლოდან გადაიხვეწა.
გ) დამსვენებლები ყველა კუთხიდან ჩამოდიოდნენ.
დ) სარიტუალო ფიგურებს თიხიდან ძერწავდნენ.

35. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) ბოტანიკურ ბაღში მრავალი იშვიათი მცენარე ვნახეთ.
ბ) დღესასწაულზე სხვადასხვა სანახაობა გაიმართა.
გ) იუპიტერი ყველა ვარსკვლავებისაგან გამოირჩევა.
დ) მსოფლიოს მუზეუმებში არაერთი პაპირუსი ინახება.

36. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> სწორად გამოყენებული კავშირი?
ა) ახლა გეტყვი იმას, რასაც ადრე არ გეუბნებოდი.
ბ) ბიჭს იმის გადმოცემა არ შეეძლო, რაც მის გულში ხდებოდა.
გ) დღეს არავის უკვირს, რაც ადრე შეუძლებლად მიაჩნდათ.
დ) ჩემი ყურადღება მიიქცია იმ შენობამ, რაც ადრე არ შემიმჩნევია.

37. რომელ წინადადებაშია სიტყვათა რიგი <u>არასწორი</u>?
ა) ბილიკი იწყებოდა სოფლის ბოლოს, რომელიც ტყეში შედიოდა.
ბ) ბილიკი, რომელიც ტყეში შედიოდა, სოფლის ბოლოს იწყებოდა.
გ) სოფლის ბოლოს იწყებოდა ბილიკი, რომელიც ტყეში შედიოდა.
დ) ტყეში შედიოდა ბილიკი, რომელიც სოფლის ბოლოს იწყებოდა.

38. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?
ა) გაოცებული იმისთვის დარჩა, რათა ასეთ შედეგს არ ელოდა.
ბ) მეგობარი გიგას იმისთვის იცავდა, რათა მართალი ეგონა.
გ) კაცები ჭადრაკს იმისთვის მიუსხდნენ, რათა თავი შეექციათ.
დ) სახლში იმისთვის დაბრუნდა, რათა საშინელი ქარი ამოვარდა.

39. რომელია არასწორი?
ა) ახალ წიგნს.
ბ) ახალ წიგნის.
გ) ახალი წიგნის.
დ) ახალი წიგნების.

40. რომელ წინადადებაშია შეცდომა?
ა) დიდი ხნის უნახავი ორი მეგობარი შემხვდა.
ბ) ორი მეგობარი ტკბილად საუბრობდნენ.
გ) სადილზე ორი მეგობარი დაპატიჟეს.
დ) ქუჩაში შემთხვევით ორ მეგობარს შეხვდა.

41. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
ა) ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსება გაზაფხულზე იგეგმება.
ბ) ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსებას გაზაფხულზე აწარმოებენ.
გ) ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსებას გაზაფხულზე მოახდენენ.
დ) ახალი წიგნებით ბიბლიოთეკის შევსება გაზაფხულზე იწარმოებს.

42. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
ა) ახალი ამბავი ჩურჩულით გადასძახა მეგობარს.
ბ) მიწისძვრის წყალობით არაერთი სახლი დაინგრა.
გ) შეშინებული ქეთო სახლში ფეხაკრეფით შევარდა.
დ) წერილი რამდენჯერმე გულდასმით გადავიკითხე.

43. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
ა) ლუკა ყველას უყვარდა, რადგან გულკეთილი გული ჰქონდა.
ბ) ლუკა ყველას უყვარდა, რადგან გულკეთილი გულის პატრონი იყო.

გ) ლუკა ყველას უყვარდა, რადგან გულკეთილი გულის მქონე იყო.
დ) ლუკა ყველას უყვარდა, რადგან ძალიან გულკეთილი იყო.

44. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
ა) ბოლოს ისეთი შედეგი მივიღეთ, როგორიც გვინდოდა, რომ მიგვეღო.
ბ) თქვენ წინაშეა ქართული ხუროთმოძღვრების უძველესი ნიმუში.
გ) მან დღის სინათლეზე გამოამზეურა ქართველი გლეხის ჭირ-ვარამი.
დ) ხანდახან აუცილებელია განმარტოვდე და საკუთარ თავთან მარტო დარჩე.

45. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?
ა) არმაზში აღმოჩენილი სურა უძველეს ხანას განეკუთვნება.
ბ) ახალგაზრდები ისხდნენ და ხმადაბალი ხმით საუბრობდნენ.
გ) უკანასკნელ ხანს ადგილი ჰქონდა დანაშაულის კლებას.
დ) ძველად მარილის მიღებას მლაშე წყლებიდან ახდენდნენ.

46. რომელი სასვენი ნიშანი/ნიშნები არის გამოტოვებული შემდეგ წინადადებაში:
დედა რასაკვირველია გაახარა შვილის წარმატებამ.
ა) მძიმე.
ბ) მძიმეები.
გ) ტირეები.
დ) წერტილ-მძიმე.

47. რომელ წინადადებაშია სწორად დასმული სასვენი ნიშნები?
ა) ნინო, დედა სად არის – ჰკითხა გოგონას ლაშამ.
ბ) ნინო, დედა სად არის, – ჰკითხა გოგონას ლაშამ.
გ) ნინო, დედა სად არის? ჰკითხა გოგონას ლაშამ.
დ) ნინო, დედა სად არის? – ჰკითხა გოგონას ლაშამ.

48. რომელ წინადადებაშია <u>არასწორად</u> დასმული სასვენი ნიშნები?
ა) ბიჭი ვერც ქალაქს შეეგუა, ვერც სწავლას დაუდო გული.
ბ) 1935 წელს, თბილისში ამუშავდა სატელეფონო სადგური.
გ) დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი კარგად ჩაივლიდა.
დ) რაც დრო გადიოდა, მით მეტ მხარდამჭერს იძენდა.

49. რომელ წინადადებაშია <u>არასწორად</u> დასმული სასვენი ნიშნები?
ა) მგზავრი, წვიმისაგან სველი, ბუხარს მიეფიცხა.
ბ) ხვალ, საღამოს რვა საათზე, ჩემთან გეპატიჟები.
გ) მარინე, მასპინძლის ქალიშვილი, მშვენივრად მღეროდა.
დ) ჩვენი ორკესტრი, ერთი თვის წინ, საგასტროლოდ გაემგზავრა.

50. რომელი სასვენი ნიშანია გამოტოვებული შემდეგ წინადადებაში:
ყველა ჩვენ გვმტრობს არწივი, ზარნაშო, ძერა.
ა) ბრჭყალები.
ბ) ორწერტილი.
გ) ფრჩხილები.
დ) წერტილ-მძიმე.